მემორანდუმი

ურთიერთთანამშრომლობის შესახებ

თბილისი „25“ „02“ 2016 წელი

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსა და როტარი კლუბ - „თბილისი საერთაშორისოს“ ACTS საქართველოს VTT პროგრამას შორის

1. მემორანდუმის მხარეები

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო (შემდგომში სამინისტრო), მინისტრის მოადგილის - ნინო ბერძულის სახით და როტარი კლუბ „თბილისი საერთაშორისო“ - ACTS საქართველოს VTT პროგრამა (ACTS ინტერნაციონალი, როტარი დისთრიქთ 6080, მისური, აშშ, როტარი კლუბი „კოლუმბია საუს“ აშშ) (შემდგომში - „VTT პროგრამა“), პროგრამის კოორდინატორის - გიორგი წილოსანის სახით (შემდგომში „მხარეებად“ წოდებულნი), ვდებთ შეთანხმებას შემდეგზე:

2. ურთიერთთანამშრომლობის მიზანი

2.1. ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის (შემდგომში „მემორანდუმი“) მიზანია სამინისტროსა და ,,VTT პროგრამას“ შორის თანამშრომლობა საქართველოში პერინატალური სამსახურების რეგიონალიზაციის განხორციელების ხელშეწყობისათვის.

2.2. მხარეები აფორმებენ მემორანდუმს, რომელიც არ არის შეზღუდული ქვეყანაში მოქმედი კანონმდებლობით, რათა გამოხატონ თავიანთი მზაობა მემორანდუმში ასახული მიზნის მისაღწევად საჭირო ღონისძიებების განხორციელების ფარგლებში.

3. მემორანდუმის საგანი და სფეროები

3.1. ,,VTT პროგრამა“ საქართველო („გლობალ გრანტი NGG1417151, დმანისი“-ს ფარგლებში) პასუხისმგებლობას იღებს, მხარდაჭერა გაუწიოს სამინისტროს პერინატალური სამსახურების რეგიონალიზაციასთან დაკავშირებული შემდეგი საქმიანობების ფარგლებში:

3.1.1. ტექნიკური მხარდაჭერა (ფინანსური მხარდაჭერა) სამინისტროს ქვემო ქართლის რეგიონში პერინატალური სამსახურების (9 შესაბამისი დაწესებულება) შეფასების პროცესში, სამინისტროს მიერ შერჩეული ექსპერტებისა და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი შეფასების ინსტრუმენტის გამოყენებით;

3.1.2. ტექნიკური მხარდაჭერა (ფინანსური მხარდაჭერა) სამინისტროს ქვემო ქართლის რეგიონის ნეონატოლოგების გადამზადების მიმართულებით, უწყვეტი

სამედიცინო განათლების აკრედიტებული პროგრამის ("მაღალი რისკის ახალშობილთა მართვის ძირითადი პრინციპები") ფარგლებში (სამინისტროსთან კოორდინაციით შერჩეულ შესაბამის გადამზადების ცენტრში სამი სამდღიანი სასწავლო კურსის ჩატარებით);

3.1.3. ტექნიკური მხარდაჭერა (ფინანსური მხარდაჭერა) სამინისტროს ქვემო ქართლის რეგიონის ნეონატოლოგიური სერვისის ექთნების გადამზადების მიმართულებით, მოქმედი კანონმდებლობით აღიარებული შესაბამისი პროგრამის ფარგლებში (სამინისტროსთან კოორდინაციით შერჩეულ შესაბამის გადამზადების ცენტრში სამი 1,5 დღიანი სასწავლო კურსის ჩატარებით);

3.1.4. ტექნიკური მხარდაჭერა(ფინანსური მხარდაჭერა) სამინისტროს ქვემო ქართლის რეგიონის მეან-გინეკოლოგებისა და ბებია-ქალების გუნდების გადამზადების მიმართულებით, უწყვეტი სამედიცინო განათლების აკრედიტებული პროგრამის ("სამშობიარო ბლოკ-პალატაში ლოგინობის ხანაში ადრეული სისხლდენის განვითარების პრევენციის, დროული დიაგნოსტიკისა და მკურნალობის ძირითადი პრინციპები") ფარგლებში (სამინისტროსთან კოორდინაციით შერჩეულ შესაბამის გადამზადების ცენტრში ხუთი სამდღიანი სასწავლო კურსის ჩატარებით).

3.2. სამინისტრო პასუხისმგებლობას იღებს, უზრუნველყოს სამედიცინო დაწესებულებების ინფორმირება მათ შეფასებასა და სასწავლო კურსების ორგანიზებასთან დაკავშირებულ საკითხებზე.

4. სხვა პირობები

4.1. მემორანდუმი შედგენილია ქართულ ენაზე, ორი თანაბარი ძალის მქონე ეგზემპლარად;

4.2. მემორანდუმი ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერისთანავე და ძალაში რჩება ,,VTT პროგრამის" განხორციელების ვადის განმავლობაში (2016 წლის 1 ივლისამდე);

4.3. მემორანდუმი შესაძლებელია განახლდეს ყოველწლიურად მხარეების ურთიერთშეთანხმების საფუძველზე;

4.4. მემორანდუმში შესაძლებელია ცვლილების შეტანა მხარეთა შეთანხმების საფუძველზე. ცვლილების შეტანის აუცილებლობის შემთხვევაში, ცვლილების ინიციატორი ვალდებულია, წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი მოთხოვნა; მემორანდუმში ცვლილების შეტანა შესაძლებელი იქნება მიმღები მხარის მიერ ამგვარ შეტყობინებაზე წერილობითი თანხმობის გაცემის შემდეგ;

4.5. მემორანდუმის პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს დამატებითი დოკუმენტის სახით, რომელიც ჩაითვლება მემორანდუმის განუყოფელ ნაწილად;

4.6. მხარეები უფლებამოსილნი არიან, შეწყვიტონ მემორანდუმი, რის შესახებაც 1 (ერთი) თვით ადრე უნდა ეცნობოს მეორე მხარეს;

4.7. მხარეები თანხმდებიან რომ მხარეთა შორის წარმოშობილი ყოველგვარი უთანხმოება უნდა მოგვარდეს ურთიერთმოლაპარაკებით. შეუთანხმებლობის შემთხვევაში, დავა გადაწყდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

5. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო *მინისტრის მოადგილე* *ნინო ბერძული*	ACTS /როტარი ინტერნატიონალი VTT პროგრამა *პროგრამის კოორდინატორი* გიორგი წილოსანი